სოციალური საცხოვრისი ლგბტქი თემისთვის

ბეშიძე მერაბი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა გოცირიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერაბი ბეშიძე *12.06.2023*

აბსტრაქტი

საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს ლგბტქი ადამიანები წარმოადგენენ, გამომდინარე იქედან რომ ისინი განიცდიან ჩაგვრას, ბულინგს, დისკრიმინაციას, ჰომოფობიას და ტრანსფობიას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, ეკონომიკურ ძალადობას, ამ ყველაფრის ზემოქმედებით მათი ცხოვრების ხარისხი ძალიან დაბალია და უმეტეს შემთხვევაში მათი არსებობა გადარჩენისთვის ბრძოლაა, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო ისინი ვერ ახერხებენ მიიღონ: განათლების შესაძლებლობა, დასაქმების შესაძლებლობა, ღირსეული ჯანდაცვის მომსახურებები და ღირსეული საცხოვრებელი.

სამაგისტრო ნაშრომი სწორედ ლგბტქი თემის საცხოვრებლის პრობლემას ეხმიანება და იმ მაპროვოცირებელი ფაქტორების გამოკვეთას, რომელიც ხელს უშლის ლგბტქი ადამიანებს ჰქონდეთ ღირსეული საცხოვრებელი, რამდენად მწვავედ დგას თემში ეს პრობლემა, როგორ შეიძლება მისი მოგვარება სახელმწიფს თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული მომსახურებებით, ასევე ის თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საცხოვრებლით უზრუნველყოფის კუთხით ისეთმა მოულოდნელმა სიტუაციებმა, როგორიც იყო კოვიდ პანდემია.

კვლევისთვის გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუ. ფოკუს ჯგუფების შერჩევა მოხდა მიზნობრივი შერჩევით, ლგბტქი თემის წევრებიდან და მონაწილეობა მიიღო ოცმა თემის წევრმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააზიარეს თავიანთი გამოცდილებების შესახებ. რაც შეეხება სიღრმისეული ინტერვიუს სამიზნე ჯგუფს, მონაწილეობა მიიღეს ლგბტქი ადამიანეთან მომუშავე სპეციალისტებმა, სულ 5 მათგანის გამოკითხვა მოხერხდა, სამი მათგანი არასამთავრობო სათემო ორგანიზაციაში მუშაობს და პირდაპირი შემხებლობა აქვთ თემის წევრების საცხოვრისით უზრუნველყოფის მიმართვიანობასთან დაკავშირებით და პრობლემის წარმოქმნის მიზეზებთან.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ გამოკითხული თემის წევრების უმეტესობა დგას საცხოვრისი პრობლემის წინაშე, გამომდინარე იქედან რომ მათი პირველადი მხარდამჭერი რგოლი, როგორიცაა ოჯახი, მათზე ძალადობს, მათი ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო, რის გამოც უწევთ სახლიდან წამოსვლა, ასევე იმ საზოგადოების გამო, რომელიც მათ გარშემოა. ასეთ მდგომარეობაში, როდესაც ისინი საჭიროებენ საცხოვრებლის მომსახურებას, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პირობები რთული შესასრულებელია მათთვის, რადგან შეიძლება უფრო მეტი საფრთხე შეექმნათ, ამიტომ ვერ სარგებლობენ და უწევთ არასამთავრობოების მიერ მცირე მომსახურებების გამოყენება. აღნიშნული პრობლემა უფრო გამწვავდა კოვიდ პანდემიის პერიოდში, როდესაც რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა დაკარგა შემოსავლის ერთადერთი წყარო, ეს პერიოდი მათთვის გადარჩენის ტოლფასი იყო, რა დროსაც მხოლოდ არასამთავრობო სათემო ორგანიზაციებმა შეძლეს მათთვის ბინის ქირის მომსახურების შეთავაზება. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპოდენტების გამოცდილებებს იზიარებენ სწორედ მათთან მომუშავე სპეციალისტები და ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული საცხოვრისის მომსახურებების გაუმართაობაზე და იმაზე რომ ისინი არაა მორგებული ლგბტქი ადამიანების საჭიროებებზე.

კვლევის შედეგად მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია, იმისთვის რომ მკაფიოდ მოხდეს პრობლემის სიმწვავის აღქმა, ყურადღება მიექცეს ლგბტქი ადამიანების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას, შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და შეიცვალოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მომსახურებები ისე, რომ მორგებული იყოს ლგბტქი ადამიანებზე, რაც მათ მისცემთ საშუალებას ისარგებლონ ღირსეული ცხოვრებისა და ადამიანის პირველადი უფლებებით.

Abstract

LGBTQI people are one of the most vulnerable groups in Georgia, due to the fact that they experience oppression, bullying, discrimination, homophobia and transphobia, physical and psychological violence, economic violence, under the influence of all this their quality of life is very low and in most cases their existence is a struggle for survival. Because due to the above-mentioned factors they are not able to get: education opportunity, employment opportunity, decent health services and decent housing.

The master's thesis addresses the housing problem of the LGBTQI community and outlines the provoking factors that prevent LGBTQI people from having decent housing, how acute this problem is in the community, how it can be solved by the services offered by the state or non-governmental organizations, and what impact housing can have. In terms of provision, such unexpected situations as the Covid pandemic.

Qualitative research methods, namely focus groups and in-depth interviews, were used for the research. The focus groups were selected through purposive sampling of LGBTQI community members, and twenty community members participated who shared valuable information about their experiences. As for the target group of the in-depth interview, there were specialists working with LGBTQI people, a total of 5 of them were interviewed, three of them work in a non-governmental community organization and have direct contact with the issue of providing housing for community members and the causes of the problem.

The results of the study revealed that most of the members of the interviewed community are facing housing problems, due to the fact that their primary support circle, such as the family, abuses them, because of their orientation and gender identity, which is why they have to leave home, as well as because of the society that surrounds them. In such a situation, when they need housing services, the conditions offered by the government are difficult for them to fulfill, because they may face more danger, so they cannot benefit and have to use the small services provided by non-governmental organizations. The mentioned problem was aggravated during

the covid pandemic, when a large part of the respondents lost their only source of income, this period was equivalent to survival for them, during which only non-governmental community organizations were able to offer them apartment rental services. The experiences of the respondents participating in the focus groups are shared by the specialists working with them and they focus on the failure of the housing services developed by the state and the fact that they are not adapted to the needs of LGBTQI people.

The results obtained from the survey are important in order to clearly perceive the severity of the problem, pay attention to meeting the basic needs of LGBT people, develop an action plan and change the services offered by the state, so that they are adapted to LGBTQI people, which will allow them to enjoy a dignified life and basic human rights.

მადლობა

მადლობას ვუხდი ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ თეონა გოცირიძეს, რომელიც დამეხმარა კვლევის განხორციელებაში, მაწვდიდა საჭირო რესურსებს და რჩევებს, რათა სწორად წარმემართა კვლევა და დამეცვა როგორც ეთიკის კოდექსი, ასევე, აკადემიურად გამემართა ნაშრომი. ასევე, სოციალური მუშაობის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელს, სრულ პროფესორ ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს.